

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2018 წლის 17 იანვარი

ქ. ცაგერი

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №65 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 04/01/2018წ. სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.116.016384) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გუგავა

დანართი №1

თავი I

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტებით გათვალისწინებული ტრანსფერი	2017 წლის გეგმა	მ.შ სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	2018 წლის გეგმა	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი მიზნობრივი	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
შემოსავლები	9980,78	5011,50	8542,60	3670,80	4871,80	5270,40	158,00	0,00	5112,40
გადასახადები	492,08	0,00	520,00	0,00	520,00	410,00	0,00	0,00	410,00
გრანტები	9324,40	5011,50	7747,10	3670,80	4076,30	4750,40	158,00	0,00	4592,40
სხვა შემოსავლები	164,30	0,00	275,50	0,00	275,50	110,00	0,00	0,00	110,00
ხარჯები	5065,67	329,77	4756,68	111,29	4645,39	4859,40	158,00	0,00	4701,40
შრომის	1301,48	83,31	1517,40	52,10	1465,30	1476,40	56,40	0,00	1420,00



ანაზღაურება									
საქონელი და მომსახურება	668,65	69,98	747,45	47,03	700,42	769,50	10,30	0,00	759,20
სუბსიდიები	2663,65	166,90	2180,05	8,28	2171,77	2293,50	88,30	0,00	2205,20
სოციალური უზრუნველყოფა	312,68	6,03	277,00	0,00	277,00	280,00	0,00	0,00	280,00
სხვა ხარჯები	119,21	3,55	34,78	3,88	30,90	40,00	3,00	0,00	37,00
საოპერაციო სალდო	4915,11	4681,73	3785,92	3559,51	226,41	411,00	0,00	0,00	411,00
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3617,71	3510,17	5560,08	5140,73	419,35	405,00	0,00	0,00	405,00
ზრდა (ა)	3678,10	3510,17	5665,78	5140,73	525,05	2296,60	0,00	1861,60	435,00
კლება (ა)	60,39	0,00	105,70	0,00	105,70	30,00	0,00	0,00	30,00
მთლიანი სალდო	1297,40	1171,56	-1774,16	-1581,22	-192,94	6,00	0,00	0,00	6,00
ფინანსური აქტივების ცვლილება	1286,82	1171,56	-1895,57	-1585,33	-310,24	0,00	0,00	0,00	0,00
ზრდა (ფ)	1286,82	1171,56	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
ვალუტა და დეპოზიტები	1286,82	1171,56	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
კლება (ფ)	0,00	0,00	1895,57	1585,33	310,24	0,00	0,00	0,00	0,00
ვალუტა და დეპოზიტები	0,00	0,00	1895,57	1585,33	310,24	0,00	0,00	0,00	0,00
ვალდებულებების ცვლილება	-10,58	0,00	-121,41	-4,11	-117,30	-6,00	0,00	0,00	-6,00
კლება (ვ)	10,58	0,00	121,41	4,11	117,30	6,00	0,00	0,00	6,00
საშინაო	10,58	0,00	121,41	4,11	117,30	6,00	0,00	0,00	6,00
სხვა კრედიტორული დავალიანებები	10,58	0,00	121,41	4,11	117,30	6,00	0,00	0,00	6,00

მუხლი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

	2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	2016 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10 041,27	8 472,50	3 670,80	4 801,70	5 300,40	0,00	5 300,40
შემოსავლები	9 981,37	8 375,50	3 670,80	4 705,50	5 270,40	0,00	5 270,40
არაფინანსური აქტივების კლება	59,9	97	0	97	30	0	30
გადასახდელები	8 754,41	10 539,70	3 690,87	6 848,80	7269,60	1969,20	5300,40
ხარჯები	5 065,71	4 819,94	181,34	4 638,60	7269,60	1969,20	4859,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 678,12	5 641,01	3 509,53	2131,5	2296,60	1861,600	435,0
ვალდებულებების კლება	10,58	78,75	0,00	78,75	6,00	0	6,00
ნაშთის ცვლილება	-1390,5	-696,2	-645,6	50,6	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 5270.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 981,4	8 375,5	3 670,8	4 704,7	5 270,4	0,0	5 270,4
გადასახადები	490,2	520,0	0,0	520,0	410,0	0,0	410,0
გრანტები	9 324,4	7 747,1	3 670,8	4 076,3	4 750,4	0,0	4 750,4
სხვა შემოსავლები	166,8	108,4	0,0	108,4	110,0	0,0	110,0

მუხლი 4. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	



დასახელება	2016 წლის ფაქტი	მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	490,2	520,0	0,0	520,0	410,0	0,0	410,0
საშემოსავლო გადასახადი		240,0		240,0	80,0		80,0
ქონების გადასახადი	490,2	280,0	0,0	280,0	330,0	0,0	330,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	448,6	249,0		249,0	300,0		300,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	41,4	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0

მუხლი 5. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4750.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9 324,4	7 747,1	3 670,8	4 076,3	4 750,4	0,0	4 750,4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0					
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან	0,0	0,0					



გამოყოფილი ტრანსფერი							
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 324,4	7 747,1	3 670,8	4 076,3	4 750,4	0,0	4 750,4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 453,7	4 566,8	490,5	4 076,3	4 750,4	0,0	4 750,4
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 312,9	4 076,3		4 076,3	4 592,4		4 592,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158,0	158,0	158,0	0,0	158,0		158,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	2 982,8	332,5	332,5		0,0	0,0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 870,7	3 180,3	3 180,3	0,0	0,0	0,0	0,0
რეგ. ფონდი		1 755,3	1 755,3		0,0	0,0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	405,4	0,0	0,0				
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0,0	0,0		0,0			
სტიქია	0,0	1 425,0	1 425,0		0,0	0,0	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 110.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	166,8	280,5	110,0
შემოსავლები საკუთრებიდან	70,0	55,4	47,0
პროცენტები	5,6	5,0	5,0
რენტა	64,4	0,0	42,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	62,4	50,4	40,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,0	0,4	2,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	66,7	26,0	23,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	49,7	6,0	8,0
სანებართვო მოსაკრებელი	1,3	1,0	1,0



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4,0	5,0	5,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	44,4	00,0	2,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17,0	20,0	15,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	17,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	30,1	20,0	15,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	90,8	32	40,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	83,3	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4859.4ათ, ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5065,71	4842,91	13,32	4829,59	4859,40	0,0	4859,40
შრომის ანაზღაურება	1301,48	1452,40	0,0	1452,40	1476,40	0,0	1476,40
საქონელი და მომსახურება	668,66	740,50	12,44	728,06	769,50	0,0	769,50
სუბსიდიები	2663,66				2293,50	0,0	2293,50
სოციალური უზრუნველყოფა	312,69	2268,96	8,3	2260,66	280	0,0	280
გრანტები	0,0	273,91	0,0	273,91	0,0	0,0	0,0
სხვა ხარჯები	119,21	0,0	0,0	0,0	40,00	0,0	40,00
არაფინანსური აქტივების ზრდა	3678,12	107,15	0,88	106,27	2296,60	1861,60	435,00
ვალდებულებების კლება	10,58				6,00		6,00

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2266.6ათასი ლარის ოდენობით.



მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 ფაქტი	2017 გეგმა	2018 პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორების დაფინანსება
7,00	მთლიანი ხარჯები	8 754,4	10 543,9	5 142,4	5 142,4	0,0
7,10	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 771,1	2 044,9	2 101,9	2 101,9	0,0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 771,1	2 018,6	2 101,9	2 101,9	0,0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 771,1	1 955,6	2 041,9	2 041,9	0,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	63,0	60,0	60,0	0,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	26,30	0,0	0,0	0,0
7,20	თავდაცვა	56,70	72,0	4,70	4,70	0,0
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	56,70	72,0	4,70	4,70	0,0
7,40	ეკონომიკური საქმიანობა	927,50	3 964,7	350,0	350,0	0,0
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	123,30	460,40	150,0	150,0	0,0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	123,30	460,40	150,0	150,0	0,0
7.4.5	ტრანსპორტი	456,70	3 242,9	80,0	80,0	0,0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	456,70	3 242,9	80,0	80,0	0,0
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	44,20	1,0	0,0	0,0	0,0
7.4.7.4	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტი	44,20	1,0	0,0	0,0	0,0



7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	303,30	260,40	120,0	120,0	0,0
7.50	გარემოს დაცვა	111,60	60,40	5,0	5,0	0,0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	111,60	60,40	5,0	5,0	0,0
7.60	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3 407,6	2 361,5	617,40	617,40	0,0
7.6.1	ბინათმშენებლობა	34,70	44,10	0,0	0,0	0,0
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	120,30	142,0	120,0	120,0	0,0
7.6.3	წყალმომარაგება	18,40	195,50	13,0	13,0	0,0
7.6.4	გარე განათება	109,10	126,20	110,0	110,0	0,0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3 125,1	1 853,8	374,40	374,40	0,0
7.70	ჯანმრთელობის დაცვა	98,10	0,0	0,0	0,0	0,0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	98,10	0,0	0,0	0,0	0,0
7.80	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 368,4	1 126,3	1 145,3	1 145,3	0,0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	330,50	294,30	297,0	297,0	0,0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	984,30	806,0	821,90	821,90	0,0
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	37,40	9,60	9,0	9,0	0,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16,20	16,50	17,40	17,40	0,0
7.90	განათლება	658,10	632,20	630,90	630,90	0,0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	570,60	575,50	575,50	575,50	0,0
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	87,50	56,70	55,40	55,40	0,0



7,10	სოციალური დაცვა	355,30	282,0	287,20	287,20	0,0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1,50	2,50	0,0	0,0	0,0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	289,0	200,0	190,0	190,0	0,0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	64,50	79,0	97,20	97,20	0,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0,3	0,5	0,0	0,0	0,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო **6,0** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მთლიანი სალდო	1 286,9	-1 905,4	-1 905,4	0	6,0	0,0	6,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება ---**0,0** ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება-**0,0** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება-**6,0** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 158.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 88,3 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66,7 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის



შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება(პროგრამული კოდი 02 00)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდი, ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა-გაწვევის და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით პერიოდულად ხდება სტიქიური და მათ შორის. განსაკუთრებით მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი და მეწყრული მასისაგან, ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება თოვლის საფარისაგან შიდა სასოფლო და სოფლებისა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზების გაწმენდა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ასევე იგეგმება წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები.



2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე დასოფლის ცენტრებში ახალი წერტილების მოწყობა.

2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 03 04)

გასულ წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა სხვადასხვა დიამეტრის მილები, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის.

2.2.3.მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.2018 წელს იგეგმება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით, საახალწლოდ ქალაქის ცენტრშიცენის მოწყობა და ქალაქის ქუჩების საახალწლო განათების დამონტაჟება.

2.2.4.ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხოვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხოვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.2.5 ა(ა)იპ „კომუნალური მეურნეობის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასახლებებში კომუნალური მომსახურების(ტერიტორიების დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა) და გარე განათების უზრუნველყოფა.ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქ. ცაგერის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქ. ცაგერის ტერიტორიაზე კეთილმოწყობა და გამწვანება. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ იქნა სპეციალური ნაგავმზიდი და სანაგვე ურნები, მოსახლეობას მოემსახურება ასენიზაციის ავტომანქანა.

2.2.6 ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი" (პროგრამული კოდი 03 03 15)

გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობების,ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა -გადაჭრის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი"

2.3. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 07)

2018 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე



მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2018 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვრიშის, ცაგერი-ზოგოში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დებვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მომრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შპს. „საქე-ცაგერი“),

2.4. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ხორციელდებოდა და 2018 წელს გაგრძელდება საქარველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%),

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში 2018 წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 300 მეტი ბავშვი. ბავშვების აღზრდას ემსახურება 78 პედაგოგი და 78 დამხმარე მოსამსახურე. იგეგმება მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღში შიდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწესრიგება და მათი გამრიცხველიანება. 2018 წელს საბავშვო ბაღების კვების ბლოკებისათვის შეძენილი იქნება ჭურჭელი, ხოლო ბავშვებისათვის -სათამაშოები. ქალაქის ბაღებისათვის შეძენილი იქნება ინვენტარი.

3.2 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 20 წრე, რომელშიც ჩაბმულია 200 მოსწავლე. (საღმრთო სჯული, მხატვრული კითხვა, დრამატული მხარეთმცოდნეობა, სახალისო მათემატიკა, ზოგადი უნარები, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ქიმია, ქსოვა, ნორჩი მათემატიკა, ფოლკლორი, ცოცხალი სამყარო, ლიტერატურულ- შემოქმედებითი, მუსიკა)

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური-სასპორტო სკოლის და საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“-ს, ფრენბურთის კლუბის და საჭადრაკო კლუბის დაფინანსება, რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპორტის 8 სახეობაში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, მკლავჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშვში. ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი). აღნიშნულ სახეობებში 232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2015 წელს დაიწყო და 2018 წლისათვის დასრულდება ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობა.

4.1.1 ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური-სასპორტო სკოლის დაფინანსება. 2018



წელს სპორტის სახეობებში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, მკლავჭიდაობაში. ასევე საქართველოს პირველობებზე წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი). აღნიშნულ სახეობებში 232 ბავშვს ავარჯიშებს 16 მწვრთნელი.

4.1.2. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ დაფინანსება, რათა სპორტსმენებისათვის შეიქმნას შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდეს ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.3 ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრენბურთის კლუბი ცაგერის დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ფრენბურთისა და საპლიაჟო ფრენბურთის პოპულარიზაციას.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, ლადოობის სახალხო ზეიმი ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 ცაგერის კულტურის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ცაგერის კულტურის ცენტრის ფინანსურ მხარდაჭერას, სადაც გაერთიანებულია

- გრ. მდივნის სახელობის ცაგერის სახალხო თეატრი;
- საბავშვო მუსიკალური თეატრი (20 წევრი);
- ფოლკლორული ანსამბლი „სალადობო“ (14 წევრი);
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლი“ (20 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალადობო“ (14 წევრი);
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“ (30 წევრი);
- ქალთა ანსამბლი „საპოვნელა“ (8 წევრი);
- საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდია (25 წევრი);
- კამერული გუნდი (25 წევრი);
- კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“;
- სასოფლო კლუბები.

4.2.2 მუზეუმისა და გალერეის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 05 02 02)

2018 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის მუზეუმისა და გალერეის დაფინანსება. ცაგერის ისტორიული მუზეუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ლადო ასათიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი, არჩილ-გელოვანის სახლ-მუზეუმი, სევერიან ისიანის სახლ-მუზეუმი, დიდების მუზეუმი და სურათების გალერეა. მუზეუმში დაცულია 10 000-მდე ექსპონატი დამხმარე მასალის ჩათვლით და ქვეყანაში არსებულ მუზეუმებს შორის თავისი სიძველეებითა და საინტერესო ექსპოზიციებით გამორჩეული ჩვ.წ. აღ.მდე შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის იარაღებითა და სამკაულებით. იგეგმება მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა



მუზეუმის კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობაში.საგამოფენო ექსპონატების სისტემატიზაცია და სხვა.აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013-2014 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ცხეთა-დეხვირის ტერიტორიაზე და აღმოჩენილი იქნა ახალი არქეოლოგიური მასალები,ძვ.წ.viii-vსს-ის კერამიკა, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების კერამიკა, ლითონის ჭურჭელი და იარაღი, ამ ახალი ექსპონატებით გამდიდრდა ცაგერის ისტორიული მუზეუმი. 2018 წელსაც ცხეთა დეხვირის ტერიტორიაზე რომელიც უკვე ცაგერის ისტორიული მუზეუმის შემადგენლობაში შედის „მუზეუმი ღია ცისქვეშ“ სახით, იგეგმება სხვადასხვა შინაარსობრივი არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსება,რომელზეც დამოკიდებულია მუზეუმის კოლექციის შევსება, ხოლო ღია ცისქვეშ მუზეუმის ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა ზრდის ტურისტთა დაინტერესებას რეგიონისადმი.

4.2.3 მუსიკალური სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქ. ცაგერში ფუნქციონირებს 1 სამუსიკო სკოლა, სადაც კლასიკურ მუსიკალურ განათლებას იღებს 62 მოსწავლე. (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 10 ლარი, რომელიც ხმარდება მასწავლებელთა ხელფასის შევსებასა და კომუნალურ გადასახადებს);სკოლაში დასაქმებულია 10 პედაგოგი და 7 ტექ. პერსონალი.

4.2.4 სამხატვრო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამით გათვალისწინებულია ცაგერის სამხატვრო სკოლის დაფინანსება. სკოლის სხვადასხვა ჯგუფებში განათლებას იღებს 45 მოსწავლე (გადასახადი თითოეულ მოსწავლეზე 3 ლარია). იგეგმება მოსწავლეთათვის სამხატვრო ინვენტარის შეძენა;სამხატვრო სკოლაში ისწავლება ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია,ძერწვა და გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც თავისთავად მოიცავს მაკრამეს ხელოვნებას, გობელენსა და ქსოვას.სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი.

4.2.5 ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მოსწავლე-ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და კულტურული ღონის ამღლების მიზნით, 2018 წელს იგეგმება ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, ერთი საბავშვო, ერთი ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 საშტატო თანამშრომელი, აქედან 29 ქალაქის, ხოლო 39 სოფლის.

4.2.6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება პროგრამული კოდი 05 02 06)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2018 წელს დაგეგმილი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა.

4.2.7 ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 07)

მუნიციპალიტეტში გამოდის გაზეთი „ლეჩხუმი“, რომლის გამოცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს იღებს მუნიციპალიტეტი.ეს კუთხეში მიმდინარე მოვლენების ყოველთვიური გაშუქების ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

4.2.9. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 09)

ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი.

4.2.10 ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 11)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლეჩხუმი“-ს დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 70-მდე ბავშვს და მოწარდს, 2011 წელს ანსამბლს მიენიჭა სახალხო ანსამბლის საპატიო წოდება, ანსამბლი წარმატებით გამოდის როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ფესტივალებში.

4.2.11 ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 14)



ცაგერის მუნიციპალიტეტში სერიოზული პრობლემებია ახალგაზრდობის მიგრაციის კუთხით დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღების, ახალგაზრდობის დასაქმების, ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის მიზნით შექმნილი ახალგაზრდობის ცენტრი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე ცენტრი წარმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობას და ამ მხრივ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სათანადო ინფორმაციითა და რეკომენდაციებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

4.2.12 ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 15)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლების დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, დღევანდელი მთხოვნათა შესაბამისად დღის წესრიგში დგება ძეგლების მოვლა-პატრონობის გაძლიერება და სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოების პროგრამის განხორციელება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმის მომავლისათვის.

4.3. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

